საქართველო
GEORGIA

გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის
სამინისტრო

MINISTRY OF ENVIRONMENTAL
PROTECTION AND AGRICULTURE
OF GEORGIA

N 4826/01
17/05/2021

4826-01-2-202105171452

საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტს

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ განიხილა თქვენი მიმდინარე წლის 26 აპრილის N7427 სკრინინგის განცხადება, რომელიც ეხება საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიერ ზესტაფონის მუნიციპალიტეტში, სოფ. შროშაში N5 ფუჭი ქანების სანაყაროს ნაპირდაცვითი და სანაპირო ზოლის ეროზიის შესაკავებელი, ასევე წყალდიდობისა და დატბორვის საწინააღმდეგო სამუშაოებს.

გაცნობებთ, რომ სკრინინგის განცხადება წარმოდგენილია საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიერ, თუმცა დოკუმენტში აღნიშნულია, რომ საქმიანობის განმახორციელებელი არის შპს „ჩინეთის გზებისა და ხიდების კორპორაციის საქართველოს ფილიალი“, შესაბამისად აღნიშნული საკითხი საჭიროებს დაზუსტებას, გაცნობებთ, რომ სკრინინგის განცხადება წარმოდგენილი უნდა იყოს საქმიანობის განმახორციელებლის მიერ.

ასევე გაცნობებთ, რომ წარმოდგენილ სკრინინგის დოკუმენტში ძირითადი ყურადღება ეთმობა სანაყაროს გაფართოებასთან დაკავშირებულ საკითხებს და სათანადოდ არ არის განხილული ნაპირდაცვითი და სანაპირო ზოლის ეროზიის შესაკავებელი, ასევე წყალდიდობისა და დატბორვის საწინააღმდეგო ნაგებობების ტექნიკური მახასიათებლები, GPS კოორდინატები და მოწყობის სამუშაოები. ამასთან წარმოდგენილ დოკუმენტში ნაცვლად ნაპირდაცვითი და სანაპირო ზოლის ეროზიის შესაკავებელი, ასევე წყალდიდობისა და დატბორვის საწინააღმდეგო ნაგებობებისგან გამოწვეული ზემოქმედებისა, მოცემულია სანაყაროს გაფართოებით გამოწვეული ზემოქმედების შეფასება, ხოლო აღნიშნული ნაგებობების მოწყობა განხილულია როგორც შემარბილებელი ღონისძიება. სკრინინგის დოკუმენტაცია უნდა მოიცავდეს ნაპირდაცვითი და სანაპირო ზოლის ეროზიის შესაკავებელი, ასევე წყალდიდობისა და დატბორვის საწინააღმდეგო ნაგებობების მოწყობიდან გამომდინარე ზემოქმედების შეფასებას გარემოს სხვადასხვა კომპონენტებზე ,,გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის" მე-7 მუხლში მითითებული სკრინინგის კრიტერიუმების შესაბამისად.

სკრინინგის განცხადებაში ცხრილში 2.4.1. მოცემულია სანაყაროს პერიმეტრზე შესასრულებელი სამუშაოების ნუსხა, სადაც აღნიშნულია წყალგამყვან არხზე სახიდე გადასასვლელის მოწყობის შესახებ ინფორმაცია, შესაბამისად სკრინინგის განცხადებაში დაზუსტებას საჭიროებს ზემოაღნიშნული საკითხი.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამინისტრო შესაბამისი სკრინინგის გადაწყვეტილების მიღების მიზნით იმსჯელებს მას შემდეგ, რაც საავტომობილო გზების დეპარტამენტი უზრუნველყოფს განახლებული სკრინინგის განცხადების წარმოდგენას, წერილში მოცემული შენიშვნების გათვალისწინებით.

ნინო თანდილაშვილი

მინისტრის მოადგილე